პარასკევი, 20 აგვისტო, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 პარასკევი, 20 აგვისტო, 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 192 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 192

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

## „ივერია“

პირველ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე . . . . . 5 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჭღირს:

პირველ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . 2 „ 50 „
„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 3 „ —

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.)

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საჩხერეში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**ბორჯში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.**

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები. . . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . . | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . . | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . . | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნებიდგან, თვითეულ გამოცემიდან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“. (40—14). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

გამოვიდა ¢ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალაჩი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალეაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდლმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად სცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.**

**სამეურნეო სკოლაში**, დაარსებულს 4 სეკდემბრის 1883 წელსა, სოფელ წინამძღვრიანთ-კარში, ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრაში, პირველ სეკდემბერის ამა წლისას, გამოცდის შემდეგ, მიიღებენ მოსწავლეთ პირველ სპეციალურ კლასშა; მოსწავლენი უნდა იყვნენ ჯანმრთელნი, 13-14 წლისანი, ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. სპეციალური კლასები სამეურნეო სკოლისა, სწავლა და ვარჯიშობა სამი წელია: ორ წელიწადს მოსწავლენი შეისწავლიან სამეურნეო სწავლას თეორეთიკიულად და ვარჯიშობით, მესამე წელს მარტოდ-მარტო ვარჯიშობით სამეურნეო ცოდნის ა იმ დარგს, რომელსაც თვით მოსწავლენი მოირჩევენ.

ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი სექცია აცხადებს

**სცენის მოყვარულთა**

## საყურადღებოდ,

რომ ვისაც სურვილი აქვს სახალხო თეატრს ემსახუროს, მობძანდეს ავჭალის სახალხო აუდიტორიაში 20 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე. (3—უ—3)

გამოვიდა ახალი

## კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სკოლისათვის, კავკავში,

საჭიროა

## მასწავლებელი ქალი

ჯამაგირი ექმნება წლიურად 300 მან. (უბინაოდ). თუ მასწავლებელი იკისრებს ხელ-საქმე ასწავლოს მოსწავლე ქალებს, მიეცემა კიდევ ზედმეტად 60 მან. მსურველთ თხოვნა და საჭირო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში, (Тифлисъ, Общество грамотности). (3—3)

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი** 15 კაპ.

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგარდოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილის (3—3)

ქართულ თეატრის დამხმარებელ

## ამხანაგობის დამაარსებელნი

სთხოვენ ყველას, ვისაც ამხანაგობის წევრად ჩაწერის სურვილი აქვს, მიჰმართოს **თ-დ ზაქარია ელიზბარის-ძეს ერისთავს** (დრამატიულ საზოგადოების კომიტეტის კანცელარიაში) და **შიო ედიშერის ძეს დავითიშვილს** («ივერიის» რედაქციაში) დილის 10 საათიდგან 2 საათამდე.

5—უ—5.

«ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» გამგეობა ამით აცხადებს, რომ სეკდემბრის პირველიდგან საჭიროა

## მასწავლებელი

«საზოგადოების» სკოლისათვის სოფ. ყალამშიაში (ბორჩალ. მაზრა). მასწავლებელს ექმნება ჯამაგირი თვეში 30 მან., ბინა და შეშა. მსურველმა უნდა წარმოადგინონ თხოვნა და საჭირო დოკუმენტები «საზოგადოების» გამგეობაში, (Тифлисъ, Общество Грамотности). (2—2).

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

## ქაჯანა

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. გალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ა. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ, ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სობოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჭხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ეორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს—67 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ**. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოოზის ასული ზაალიშვილისა**, მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე**,—ბარონის ქუჩა, № 18, მესხიშვილის სახლი, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აველისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. გაგანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. ხოლოდაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**გ. ს. ელვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ა. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

## უმაღლესი მანიფესტი

(შემდეგი *)

4) ეპატიოთ ჯარიმა, მემკვიდრის დაბადების დღემდე სალერბო წესდების დარღვევისათვის მისაჯული, არა უმეტეს 600 მან., თუ ჯარიმა მეტი იქნება, 600 მანეთი გამოეკლოს; აგრეთვე ეპატიოთ მთელი ჯარიმა იმათ, ვინც დაარღვია სალერბო წესდება, 1900 წლის 10 ივნისის სალერბო წესდების შემოღებამდე. 5) ეპატიოთ ჯარიმა, რომელიც ერგება ხაზინას სალერბო წესდების 166 და 168 მუხლების ძალით (ტომი მე-V, საბაჟო წესდება, 1902 წ. გამოც.); 5) გამოირიცხოს ანგარიშებიდგან სხვა და სხვა ჯარიმა იმ შემწეობის უდროოდ გადახდისათვის, რომელიც სახელმწიფო ხაზინას ერგებოდა 1900 წ. 1 იანვრამდე. 7) ეპატიოს კერძო სამთო მრეწველთ მათზე ნაანგარიშევი: ა) ჯარიმა სადესეტინო და ამოღებულ მადნის გადასახადის დროზე შეუტანლობის გამო; ბ) ჯარიმა სამთო წესდების დარღვევის გამო. 8) ეპატიოსთ ჯარიმა სადესეტინო გარდასახადის შეუტანლობის გამო ოქროს მრეწველთ, როგორც სახაზინო მიწებზე, ისე ჩვენის კაბინეტის ალტაისა და ნერჩინსკის ოლქებში; 9) ეპატიოსთ ჯარიმა არა უმეტეს 600 მან. იმათ, ვისაც იგი მიესაჯა კასპიის ზღვაში და ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის წყლებში თევზაობის წესების დარღვევისათვის; კასპიის ზღვის მეთევზეთ—1903 წ. 1 იანვრამდე შეგროვილი ჯარიმა, ხოლო ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის მეთევზეთ—1904 წ. 1 იანვრამდე შეგროვილი ჯარიმა. 10) ეპატიოსთ ჯარიმა, დადგენილი საჩივრების უწესოდ დაწყებისათვის და აგრეთვე ნახევარი იმ ჯარიმისა, რომელიც ხაზინის სასარგებლოდ გადაიდება ხოლმე უსაფუძვლო აპელაციის გამო. 11) ეპატიოსთ ჯარიმა იმ ებრაელთა ოჯახებს, რომელთაც უკანონოდ თავიდან აიცილეს სამხედრო ბეგარა; ჯარიმა, დანიშნული მემკვიდრის დაბადებამდე 5 და მეტის წლის წინად, თანახმად სამხედრო ბეგრის წესდების 395 მუხლისა; ეპატიოსთ მთელი ჯარმა იმათ, ვისაც იგი მიესაჯა 5 წლის წინად, ხოლო ვისაც მიესაჯა უკანასკნელ 5 წლის განმავლობაში, იმათ ეპატიოსთ არა უმეტეს 300 მანეთისა.

IV. ეპატიოსთ გაუწერელ გარდასახადისა და მაგარ სასმელების დარჩენილი გარდასახადი, გარდა სალერბოსი და სხვა და სხვა ბაჟებისა, რომელიც არ არის აღნიშნული ამ მანიფესტის მეორე და მესამე მუხლებში; ეპატიოს აგრეთვე ნედოიმკები ტუსაღების შენახვისა და გაგზავნის ხარჯისა, რომელიც არ გარდახდილა ტახტის მემკვიდრის დაბადებამდე და ხუთ თუმანს არ აღემატება; თუ დარჩენილი გარდასახადი დიდი თანხაა, ხუთი თუმანი გამოეკლოს.

V. მე-II, მე-III და მე-IV მუხლებში აღნიშნული შეღავათი არ ეხება:

ა) იმ თანხებს, რომელიც, თუმცა მთავრობას არ ეკუთვნის, მაგრამ, მთავრობის განკარგულებაში-კია და რომელსაც სპეციალური დანიშნულება აქვს, გარდა მე-II მუხლის მე-9 პუნქტში აღნიშნულ სანავთსადგურო გარდასახადისა; ბ) იმ თანხებს, რომელიც სახაზინო იჯარებისა და საქმეების დროს მოიჯარადრეებს ერთმევათ; გ) იმ ფულს, რომელიც «პატენტების» აღებისა, სააქციზო და სადამოჟნო გარდასახადთა გასტუმრების დროს დარჩენილა; დ) იმ თავნ თანხებს, რომელიც ხაზინას ერგება, როგორც შემწეობა, მაგრამ კი არ მიუღია; ე) იმ დარჩენილ ფულს მესამედის ჯამიგირისას, რომელიც სამსახურში მყოფთა აქვთ.

*) იხ. ივერ. № 191.

VI. ეპატიოსთ 1904 წლის პირველ იანვრამდე შემდგარი დარჩენილი გარდასახადი იმათ, ვისაც წინ-და-წინ პენსია წაუღია ხაზინიდან, აგრეთვე ვისაც ჯამაგირი და პენსია წაუღია ალტაისა და ნერჩინსკის ოლქების საქარხნო თანხებიდგან; ეპატიოსთ ამავე ხნის განმავლობაში შემდგარი და დარჩენილი გარდასახადი იმათ, ვინც დამნაშავეა ასეთ პენსიებისა და ჯამაგირების გაცემისთვის, თუ ესენი პასუხის გებაში არ არიან მიცემულნი და არა ჰბრალდებათ მათ ანგარებითა ან სხვა უკანონო განზრახვით ზარალის მოტანა ხაზინისათვის.

VII. აღარ ჩაითვალოს ანგარიშში ის ზარალი, რომელიც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადებამდე შესდგა სამსახურს გარეშე მყოფ ჯარის კაცთა, იმათ ცოლთა და ქვრივთათვის ერთდროულ და მუდმივ პენსიების უწესოდ დანიშვნისა და მიცემისა გამო, აგრეთვე იმპერატორ ნიკოლოოზ I-ის დრო სამსახურისათვის 5 მანეთიან თვიურ პენსიების უწესოდ დანიშვნისა ან მიცემისა გამო.

VIII. 1) ეპატიოთ სხვა-და-სხვა კაცთ, საზოგადოებათა და დაწესებულებათ ჩვენის ტახტის მემკვიდრის დაბადების შეუკრებელი დარჩენილი გარდასახადი რომელიც დაედვათ ავადმყოფთა მკურნალობისათვის სახაზინო, სამეფო სასახლის უწყებისა და ალტაისა და ნერჩინსკის ოლქების საავადმყოფოებსა, სამკურნალოებსა და ქსენონებში, აგრეთვე იმპერატრიცა მარიამის უწყების დაწესებულებებში; 2) აღარ ჩაითვალოს ანგარიშში ის თანხა, რომელიც კონსულებმა მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადებამდე დაჰხარჯეს რუსეთის მეზღვაურთა მკურნალობისა და სამშობლოში დაბრუნებისათვის და რომელიც დარჩენილ გარდასახადებად ეთვლება ან უნდა ჩაეთვალოსთ მეზღვაურთა ან გემის პატრონთ.

IX. 1) აღარ გარდაჰხდეთ და ანგარიშიდგანც გამორიცხულ უნდა იქმნას: ა) ის ფული, რომელიც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადებამდე ხაზინაში უნდა შეტანილიყო ან სახაზინო სასწავლებელთა სპეციალურ თანხას უნდა მიეღო ამ სასწავლებელში სწავლისათვის და სახელმწიფო სადგომით სარგებლობისათვის; ბ) მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე შეგროვილი დარჩენილი გარდასახადები იმათზე, რომელთაც სასწავლებლებში სახელმწიფო ხარჯით სწავლა მიუღიათ და, ამ ფულის გასტუმრების ნაცვლად, დანიშნული ვადა უნდა ემსახურნათ, მაგრამ არ უმსახურნიათ; გ) მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე შეგროვილი და გამოურთმეველი ფული სწავლა-აღზრდისა იმ სასწავლებლებში, რომელიც იმპერატრიცა მარიამის უწყებას ექვემდებარება; დ) ის დარჩენილი გარდასახადი, რომელიც ალტაისა და ნერჩინსკის ოლქის მოსამსახურეებზედ ითვლება შვილების ადგილობრივ სასწავლებლებში სწავლა-აღზრდისათვის; ე) განთავისუფლებულ იქმნან 20 მანეთის გარდახდისაგან, თუ სიღარიბის მოწმობას წარადგენენ, ისინი, რომელთაც უნივერსიტეტებში სწავლა დაამთავრეს და გამოსაცდელ კომისიებში 1905 წლის 31 დეკემბრამდე ეგზამენს დაიჭერენ.

(შემდეგი იქნება)

## ომის ამბები

### დეპეშები და წერილები.

ლიაოიანიდგან დეპეშით იწერებიან: გამოიდარა და კარგი ამინდი დაიჭირა. გზები თანდათან შრება. მალე დიდს ამბებს უნდა მოველოდეთ. ომის ახალი ხანა იწყება. წინად იაპონელები მოდიოდნენ და ჩვენ უკან ვიწევდით; ეხლა ჩვენ შევჩერდით, საუკეთესო ადგილს გავმაგრდით, ჯარმა შეისვენა, ყველაფერი მზადაა მტრის დასახვედრად. ეხლა სიჩუმეა, ჰექა-ქუხილის მომასწავებელი. ვინ დაარღვევს პირველად ამ სიწყნარეს,—ჩვენ თუ იაპონელები,—ძნელი გამოსაცნობია. ყოველივე პორტ-არტურის ბედ-იღბალზეა დამოკიდებული. საჭიროა, რომ დიდხანს დაიჭიროს თავი, თუმცა ომის გადამწყვეტელი ის არ არის. ჰექა-ქუხილი პორტ-არტურთან დაიწყება, მეხი კი ლიაოიანთან დაეცემა. (რუს.).

—

«ვენის ცაიტუნგს» გამოუანგარიშნია, რამდენი ჯარი შეუძლიან ჰყავდეს იაპონიას. ომის ველზედ ამ ჟამად 350,000 მეომარია. იაპონიის კუნძულებზე დამზადებულია ქვეითის ჯარის ერთი ბრიგადა, 11 ესკადრონი კავალერიისა და რვა ბატარეა ოთხ-ოთხ ზარბაზნით. ამას გარდა, სათადარიგო ჯარს აწყობენ, რომელშიაც იქმნება ქვეითი ჯარის 52 პოლკი, კავალერიის 36 პოლკი და 24 ბატარეა რვა ზარბაზნით. ეს სავარაუდო ჯარი შეადგენს 93,000 ქვეითი ჯარის კაცს და 17,280 კავალერიისას 192 ზარბაზნით. (რ. ვ.).

—

გენზანიდან ამერიკის გაზეთებსატყობინებენ, 10,000 რუსის ჯარი მდ. ტუმენს გადავიდა და სამხრეთისკენ მიდის. გზა-გზა დაბა-ქალაქებს იპყრობს და იქ რაზმებსა სტოვებს. ზოგ ადგილს სიმაგრეებს აკეთებენ და სურსათს ამზადებენ. ამ მოძრაობას დიდი მნიშვნელობა ექმნება. ამბობენ, რუსები გენზას აიღებენ და შემდეგ სამხრეთისაკენ წავლენ და პინ-იანსაც დაიჭერენო. რუსის ჯარი ვლადივოსტოკთან იქმნება დაკავშირებული. ამბობენ აგრეთვე, რუსებს დიდძალი რკინის გზის მასალა მიუტანიათ ტონჩინს და კიდევაც ეზიდებიანო. (რ. ვ.).

—

იაპონელები თავის ჯარის ზურგს ამაგრებენ. სეულიდგან იწერებიან, ძალად შეაგროვეს 6,000 კორეელი მუშა და მდინარე იალუს ნაპირებსა და ფინ-ხუანჩენს ამაგრებენო. ფინხუანჩენში ბიურო დაუარსებიათ, რომელიც მუშებს იჭერს სამუშაოდ და დიდის ხელფასით აზარბებს, რომ ჩრდილოეთისკენ გაგზავნოს სიმაგრეების ასაგებად და მოსაწყობად. ბიურომ გამოაცხადა, საჩქაროდ საჭიროა 12,000 მომუშავეო. (ნოვ.).

—

იაპონიის ელჩს ლონდონში პროტესტი გაუგზავნია ყველა სადეპეშო სააგენტოებისათვის, უსაფუძვლოდ გვივრცელებიათ ხმა, ვითომც ინგლისის მეფე და ავსტრიის იმპერატორი შუამდგომლობას აპირებენ რუსეთისა და იაპონიის წინაშე, რომ მოარიგონ და ომს ბოლო მოუღონო. იაპონია მხოლოდ მაშინ მოინდომებს ზავის დადებას,—ამბობს ელჩი,—თუ რომ რუსეთი თავის თავს დამარცხებულად აღიარებს, უმთავრეს სავაჭრო ნავსადგურს დაუთმობს იაპონიას, ომის ხარჯს გადაიხდის და მანჯურიას დაუთმობსო. სხვა მოთხოვნილება იმაზედ იქმნება დამოკიდებული, თუ ამის შემდეგ რამდენი ხარჯი და მხვერპლი დასჭირდება იაპონიასაო. (რ. ვ.).

### ზაფხული მანჯურიაში

(კას. ნემიროვიჩ-დანჩენკოს წერილიდგან „რუსსკ. სლოვო“.)

რა საშუალებაა ესეთი სიცხე-პაპანაქება. ზაფხულობით ვყოფილვარ მაროკოს, ივლისსა და აგვისტოს მიმოგზაურია იმიერ-კავკასიასა და სპარსეთში, ზაფხული გამიტარებია ანდალუზიაში,—მაგრამ ამისთანა არა მინახავს რა. აქ მზე და ცა მრისხანე მტერი ყოფილა კაცისა. დედამიწა გახურებულია, ლაპლაპებს, გამხმარა, როგორც გველის კანი. თავბრუ გესხმის, კლდეს დაებჯინები—ხელსა გწვავს. ჩამოჯდები შავს კლდეზე—თითქო სამზარეულოს თუჯი გაუხურებიათო. გინდა სადმე წახვიდე ცხენით,—გაცხელებული უნაგირი გწვავს. სვამ ცეცხლის ალს ჰაერში, ალსავე სუნთქავ. თვალს გიჭრიალებს ბჭყვრიალა შუქი, ყური გიზუის, გული გიგანიერდება და გიწუხდება. ჰგრძნობ, ერთი წამიც, და მიწაზე დავეცემიო დაუძლურებული... და ამ სიცხე-პაპანაქებაში მიდიან სალდათები და ზურგით მიაქვთ თავისი ბარგი ბარე ორი ფუთი! ჰხედავ, რომ უბრიოლველადაც დამარცხებულნი არიან ულმობელ ცის წყრომით, სიცხეს დაუძლურებია, წყურვილს მოუკლას, ოფლში იწურება. სულ დასველებია პერანგი და ზედა ტანთსაცმელიც. დასველებულია კაცი, ცხენი, მაგრამ ეს სისველე და ნამი არავითარ შეღავათს არ აძლევს ადამიანს, როგორც რუსულ აბანოს კიბის ზემოსაფეხური, ცხარე ორთქლით მოცული. აბანოში შევიძლიანთ ერთი-ორი წუთი, აქ-კი მზე უნდა გაჭერდეთ საათობით მთელი დღე საღამომდე, მანამ ღამის ნიავი მოგაცოცხლებთ. ბრძოლის ველს ვერსად წაუხვალთ. გინდათ ჯართან მაინც მიხვიდეთ და ფეხზე ადგომა არ შეიძლება, რომ მტერმა არ დაგინახოს. ტვინი თითქო გიდნება თავში, თვალი გერევა, ყურები გიჟრიალებთ და რაღაც ხმა გესმით, თითქო ცეცხლის უფრკრულიდგან ვიღაც გეძახითო... უყურეთ სალდათს, სადმე მიმავალს. ყველას ტანჯვა ეტყობა სახეზე, გონებაც-კი მზისაგან შეტრუსულია. კისერი უღადღადებთ, თითქო სისხლი წაუსვამთო. აგერ, ბუჩქნარებში მომხმარ-მოტრუსულ ბალახზე რაღაც სხეულებია. მიდით, ეს წვეთნაცემები დაყრილან. სახე დასწითლებიათ, დაბერვიათ, პირი დაუღიათ, თითქო ჰაერს ხარბად ჰყლაპავენო, თვალები გადმოუკარკლავთ და სისხლით ავსებიათ. ხელები ულონოდ გაუპარჭყავთ, ფეხები უცახცახებს. დამწვარ-დასუსხული კისერი გაუსინჯეთ და მიხვდებით, რაც დამართიათ აქ საჭიროა სიგრილის წყაროები და ჩრდილი. იმის ქუდს კი არც ერთი კოზირი არა აქვს, თუმცა საჭიროა ორი ჰქონდეს—წინ და უკან, რომ მზე მოეფაროს. ზოგს კი აქვს, მაგრამ ზოგს, და ისიც მხოლოდ ერთი.

## ტფილისი

* * შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის ჟურნალის მოხსენებაზედ ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა, გამოეცხადოს გულწრფელი მადლობა ხელმწიფე მემკვიდრის დაბადების გამო ქვემოხსენებულთ: 1) ტფილისის თავადაზნაურობას, 2) ქუთაისის თავად-აზნაურობას, 3) ტფილისის ყველა მცხოვრებთა და 4) ტფილისის ხელოსნებს.

* * დღეს, 20 აგვისტოს, სოჭაში, თავის აგარაკში, მოელიან მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს სტატს-სეკრეტარს ს. ი. ვიტტეს თავის სახლობით. ბ-ნი ვიტტე თავისს აგარაკში ჩამოხდება, სოჭიდგან 9 ვერსის მანძილზედ.

* * უმაღლესის კარის ეგერმეისტერის ქვრივს, კნეინა ელისაბედ მუხრან-ბატონისას, 11 აგვისტოს უმაღლესად ებოძა სტატს-დამობა მათ იმპერატორებით უმაღლესობათა ხელმწიფე იმპერატრიცებთან.

* * «პრავიტ. ვესტ.»-ში დაბეჭდილია მთავრობის შემდეგი განკარგულება: «ბათუმისა და სოხუმის ოლქებში უფროს საფაბრიკო ინსპექტორის» მოვალეობის აღსრულება დაევალოს ქუთაისის გუბერნიის უფროსს საფაბრიკო ინსპექტორს სახელწოდებით: «ბათუმის მხრისა, ქუთაისის გუბერნიისა და სოხუმის ოლქის უფროსი საფაბრიკო ინსპექტორი». ბათუმის საფაბრიკო-საქარხნო და სამთამადნო საქმეთა საკრებულოში ჟანდარმთა საგუბერნიო გამგეობის უფროსის მაგიერ წევრად იქმნება ჟანდარმთა უფროსი ოფიცერი, რომელსაც კავკასიის მთავარ-მართებელი დაჰნიშნავს. სოხუმის ოლქის იმ საფაბრიკო-საქარხნო საქმეთა განხილვა, რომელიც საფაბრიკო-საქარხნო საკრებულოს ექვემდებარება, დაევალა ბათუმის საკრებულოს; ხსენებულ საქმეთა გარჩევას უნდა დაესწროს სოხუმის ოლქის უფროსიც».

* * ტფილისის დედათა მე-II გიმნაზიაში განზრახვა აქვთ დააარსონ მომავალ სამოსწავლო წლიდგან კერძო საფოსტო-სატელეგრაფო კურსები.

* * ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: «გონჩარნი ქუჩაზედ სცხოვრობს ერთი ვიღაც იულ—ი, რომელთანაც განუწყვეტლივ ვიღაც-ვიღაცეები დადიან და ამის გამო ყოველ ღამე არის ერთი ყვირილი, დავიდარაბა, თავ-პირის მტვრევა, ჩხუბი და სხვა ამ გვარები, ასე რომ მთელს ქუჩას მოსვენება არა აქვს».

კარგი იქმნება, ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდნენ.

* * კავკასიის სამკურნალო საზოგადოების გამგეობამ სთხოვა გუშინ-წინ ქალაქის სასანიტარო კომისიას, დაუცალოს და მოუწყოს ვერაზედ ქალაქის სკოლის ერთი დარბაზი, სადაც ექიმებმა ხოლერის შესახებ სახალხო ლექციების კითხვა უნდა დაიწყონ.

* * ტფილისის ქალაქის გამგეობამ დასაფასებელი გარდასახადები შეაწერა მთავრობის დაწესებულებათა შენობებს. კავკასიის სამხედრო ოლქის საინჟინერო გამგეობის თხოვნით, ტფილ. გუბერნატორმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ, 1892 გამოცემულ საქალაქო დებულების ძალით, დასაფასებელი გარდასახადი მთავრობის ისეთს შენობებს უნდა შეეწეროს, რომელსაც რაიმე შემოსავალი აქვსო.

* * ტფილ. ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა წარუდგინა განსახილველად ტფილისის გუბერნატორს ქალაქის ლომბარდის 1903 წლის ანგარიში, ქალაქის საბჭოს მიერ ამ წლის 1-ლ ივლისს დამტკიცებული.

* * 22 აგვისტოს საგანგებო კრება ექმნება ტფილისის დურგალთა ამხანაგობას სხვა და სხვა საქმეთა განსახილველად. კრება მოჰხდება ელისაბედის ქუჩაზედ, ამხანაგობის ქარხნის ახალს სადგომში, № 25, დილის 9 საათზედ.

* * ტფილისის პოლიცმეისტერი ბ-ნი გ. კოვალიოვი უკვე დაბრუნდა ტფილისს და 17 აგვისტოდგან შეუდგა თავის თანამდებობათა აღსრულებას.

* * გუშინ ტფილისში რუსეთის ფოსტა არ მოსულა. ეს ერთი ხანია, სატახტო ქალაქის გაზეთები წესიერად არ მოგვდის. მიზეზი საიდუმლოებითაა მოცული.

## საქართველოს ამბები

როგორც „ცნ. ფურც.“ს გაუგია, ჩაქვაში ჰფიქრობენ ჩაის მეორე ქარხნის დაარსებას. ერთი ქარხანა კარგა ხანია არსებობს, მაგრამ საქმეებს ვერ ასდის.

◆ ახალქალაქის მაზრის სოფ. ხულგუმოს მცხოვრებნი შუამდგომლობენ კავკასიის მთავარ მართებლის წინაშე იმის შესახებ, რომ, რადგანაც 1898 წელს მომხდარმა ძლიერმა მიწის ძვრამ ამ სოფლის ეკკლესია დაანგრია და მის შესაკეთებლად მოგროვილი ფული საკმაო არ არის, რომ ეკკლესიის შეკეთება დამთავრდეს, ამიტომ ვითხოვთ, მთავრობამ შემწეობა მოგვცეს ფულით, ან ნება დაგვრთოს დავაწესოთ ყულაბები საჭირო ფულის მოსაგროვებლადაო.

◆ სიღნაღის მაზრის ხოფ. კაკაბეთში საქონლის ჭირი მოსპობილა და 10 აგვისტოდგან კარანტინი გაუუქმებიათ.

◆ გორის მაზრის სოფ. ხიდისთავის მცხოვრებნი გლეხნი შუამდგომლობენ მთავარმართებლის წინაშე, რომ მიეცესთ მათ მთავრობისაგან სესხად 471 მან. სათესლე ხორბლის სასყიდლად, რადგანაც, მოუსავლობისა გამო, თესლი არა აქვთ და მინდვრები დაუთესავი რჩებათ.

**ლივანის ხევი.** (ლივანა). ლივანიდამ ერთი გზა ჩრალის ხეობით ლაზისტანში გადადის; აქეთ ოსმალეთის საზღვარი ძრიელ ახლოა. ლაზისტანიდამ აჭარასა და ლივანაში ხშირად შემოდიან ლაზელი ხელოსნები: დურგლები, კალატოზები და სხვანი, აგრეთვე სხვა-და-სხვა ვაჭრები და სასულიერონიც.

მათში მრავლად არიან ქართულს ენაზედ დაუბრკოლებლივ და თავისუფლად მოლაპარაკენი. ბევრი მათგანი ლაზისტანის შესახებ საინტერესო ცნობებს მოგვითხრობს. ამ მოკლე დროის განმავლობაში მე გავიცანი რამდენიმე ლაზი, შუა კუთხეებიდამ მოსულნი, და მათ ჩემს კითხვებზე შემდეგი პასუხი მომცეს.

მთელს ლაზისტანში ლაზური ენა დღეს დიდს დევნაშია. საქმე თუ ასე წავიდა, მაშინ ლაზური ენა მალე დაიკარგება, რადგანაც მთელს ლაზისტანში დღეს სწავლა, ე წერა-კითხვა სულ არაბულად და ოსმალურად სწარმოებს. სამართალი, მეჯლისი, მიწერ-მოწერა, ლოცვა და ქადაგება სულ ოსმალურად არის. ადრე მოლლები და ხოჯები ჯამეში, ქადაგების დროს, ხშირად ლაზურ ენას ხმარობდნენ, ამ ენით ქადაგებდნენ, რადგანაც ხალხს ოსმალური კარგად არ ესმოდა; ეხლა კი ესეც მოისპო. ყოველი ლაზელი ხოჯა ოსმალურად ქადაგებს და ცდილობს, რომ ლაზური ყველა ლაზის ოჯახში მოისპოს. მათ თავიანთ წადილს მოაღწიეს კიდევაც: დღეს მთელს ლაზისტანში აღარ არის ისეთი ოჯახი, რომ მათ ქალებმა ოსმალური ენა არ იცოდნენ. ამიტომ ქალები ლაზურის ენის შესწავლას პატარაობიდან დაივიწყებენ და მალე ლაზური ენა მთლად ამოვარდება. დღეს ტრაპიზონისკენ იშვიათად შეხვდებით ლაზს, რომ ლაზურს ენაზე ლაპარაკობდეს. დარჩა მხოლოდ აქეთა მხარე, რომელსაც საზღვრად აკრავს აჭარა და ლივანა, სადაც ქართველი მაჰმადიანები მთლად ქართულად ლაპარაკობენ.

კარგად სჩანს და ეს ყოველმა ლაზმა კარგად იცის, რომ დღეს მთელს ლაზისტანში ლაზური ენა მთავრობის წინაშე არამც თუ უმნიშვნელო ენად არის მიღებული, არამედ აღკრძალულიც კია, რათა მალე ამ ენის ალაგას ოსმალური ენა გამეფდეს. ამ გარემოებას თვით ლაზებიც არ ეწინააღმდეგებიან.

ყოველი ლაზი ფანატიკია და მუყაითი მფარველია ოსმალურის ენისა და ძლიერებისა. იგინი ფანატიკობით ბევრად აღემატებიან ქართველ მაჰმადიანებს, საქმე თუ ასე წავიდა ლაზისტანში, უნდა ვიცოდეთ, რომ ლაზურ-ქართული იქაც ისე მალე ამოვარდება, როგორც ეს მოხდა ქართველ მაჰმადიანთა შორის შავშეთს, ერუშეთს, არდაჰანს, თორთომს, კორსა და მთელს დასავლეთ სამხრეთ საქართველოს ძველის ბიზანტიისა და სომხეთის საზღვრებამდე.

შავშეთელი.

### ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლა.

(შემდეგი *)

აქ საჭიროდ მიმაჩნია განვიმეორო ზემოდ ნათქვამი. ჭლექიანი უნდა ატარებდეს დროს გარეთ მოსვენებით, მჯდომარე ან მწოლარე. რაც უფრო მძიმე ავადმყოფია ჭლექიანი, მით უფრო უნდა დაემორჩილოს ამ დარიგებას. მორჩენილ ჭლექიანებს კი ნება აქვთ იარონ, მაგრამ ხანგრძლივ სიარულსა და, საზოგადოდ, დაღალვას ისინიც უნდა ერიდონ.

ამ გვარად, კარგი და მრავალ-გვარი საჭმელი, სუფთა და მუდმივ ჰაერი ზღვის ნაპირებისა ან მთებისა და მოსვენება,—აი სამი საუკეთესო საშუალება, რომ ჭლექიანი მორჩეს ან უკეთ შეიქმნეს.

ამასთანავე, საჭიროა ჭლექიანმა იცოდეს, რომ, რაც უნდა კარგად შეიქმნეს, მაინც დიდი სიფრთხილე სჭირდება და მაინც უნდა ასრულებდეს ყოველსავე ზემოდ ნახსენებ დარიგებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჭლექი კიდევ რავს იჩენს და სასტიკად დასჯის ავადმყოფს გაუფრთხილებლობისათვის.

დიდი ხანი არ არის, რაც ევროპაში შემოიღეს ჭლექიანებისთვის საექიმო დაწესებულებანი, სანატორიებად წოდებულნი. სანატორიაში ავადმყოფ ჭლექიანებს ყველაფერი აქვთ, რაც მათთვის საჭიროა: ბინა, სასმელ-საჭმელი, გარეთ-სამყოფი ადგილი, აბანო, ექიმობა და სხვ. ყოველიფერი სრულდება ექიმთა რჩევით. ასეთს სანატორიებს აშენებენ ისეთს ადგილებში, რომელთა ჰაერიც სასარგებლოა ჭლექიანებისთვის. სანატორია ძლიერ სასარგებლო დაწესებულებაა. ავადმყოფ ჭლექიანს თავის დღეში არ ექმნება თავის სახლში ყოველივე ის, რაც სანატორიაშია. ეს კია, რომ სანატორიაში მოკლე ხანს ყოფა არაფრად არგებს ავადმყოფს. სულ ცოტა სამი თვე მაინც უნდა დაჰყოს იქ ჭლექიანმა, თუ უნდა უკეთ შეიქნეს.

ზემოდ ნათქვამი შეეხება მხოლოდ ჭლექიანების მორჩენას. მაგრამ კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვს იმ საშუალებას, რომელსაც შეუძლიან ჭლექი თავიდან აგვაშოროს, ჭლექი არ გაავრცელოს ადამიანთა შორის.

როგორც ზემოდ ვთქვით, ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს ჰიგიენურად ცხოვრებას: კარგი და საკმაო საჭმელი, სახლი, ჰაერი, ტანთსაცმელი, სისუფთავე, ზომიერება მუშაობაში, სქესობრივ ცხოვრებაში და სხვ., ყველა ეს იმდენად ამაგრებს, აძლიერებს კაცს, რომ მას ჭლექის ბაცილები ვერაფერს აკლებს, იგი უზრუნველ-ყოფილია ჭლექის მხრივ; აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ სიზარმაცე, უმოქმედობა აგრეთვე მავნებელია, როგორც გადაჭარბებული მუშაობა.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თვით ჭლექიანების ყოფა-ქცევას. რომ ჭლექიანები მარტო თავის მორჩენისათვის არ ზრუნავდნენ, მაშინ სხვას აღარ გადაადებდნენ ჭლექს.

ჭლექიანი აგრეთვე უნდა უფრთხილდებოდეს სხვის სისაღეს, როგორც თავისას. ჭლექიანი ყოველთვის იმდენად მოშორებით უნდა იყოს საღ ადამიანზე, რომ დახველების, დამცხიკვების ან ლაპარაკის დროს მისის ნახველის წინწკლები არ მოხვდეს ახლო მყოფს და არ გაუჩინოს ჭლექი.

დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ჭლექიანმა თავის ნახველს, რომელიც არის მთავარი წყარო ჭლექის გადადებისა. მაგალითად, არ უნდა აფურთხებდეს ნახველი იატაკზედ არც პირსახოცში, რადგან, როგორც ზემოდ ვთქვით, გამხმარი ნახველი ჰაერში ადის მტვერთან ერთად და ჭლექს უჩენს საღ კაცს, რომელიც ამგვარ ჰაერ-

*) იხ. „ივერია“ № 188.

სა სუნთქავს. ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ უზრუნველობად ჩაითვლებოდეს საზოგადოდ იატაკზე დაფურთხება, როგორც, მაგალითად, გარეთ გასვლა, შარდზე მიდგომა და სხვ., რადგან ეს ჩვეულება ძლიერ მავნებელია.

ჭლექიანს უნდ ჰქონდეს ცალკე ოთახი, საკუთარი ქვეშაგები, საკუთარი პირსახოცი, საკუთარი ჭურჭელი, საკუთარი კბილის საწმენდი მასალა, საკუთარი საპონი და სხვა. დიდ ცოდვად უნდა ჩაითვალოს ჭლექიანის ქვეშაგების და ტანსაცმელის გასაჩუქრება, როგორც ეს ჩვეულებად არის ჩვენში. მომკვდარ ჭლექიან კაცის ტანთსაცმელი და ქვეშსაგები ან უნდა გატარებულ იქმნას ერთგვარ სტერილიზატორში, რომელიც ხოცავს ბაცილებს, ან და, თუ ჭირისუფალს ეს მანქანა არა აქვს, ჭლექიანის ქვეშსაგები და ტანთსაცმელი უნდა დაიწვას.

საჭიროა აგრეთვე ჭლექიანის ოთახში იატაკი, ჭერი, კედლები და ავეჯი მოიწმინდოს ძლიერ კარგად ტილოთი, რომელიც სუბლიმატის წყალ-ხსნილში უნდა იქმნას დასველებული. მოითხოვეთ აფთექაში სუბლიმატი ფხვნილებად, თვითო ფხვნილი ერთი გრამი უნდა იყოს (Sublimat. 1,0), გახსენით ერთი გრამი სუბლიმატი ერთს ჩაის ჭიქა ცხელ წყალში, მერე კიდევ ოთხი ჩაის ჭიქა მიუმატეთ. ამგვარ წყალ-ხსნილში დაასველეთ ტილო და მოუსვით იატაკს, კედლებს, ჭერს, ავეჯს. გახსოვდეთ კი, რომ სუბლიმატი საწამლავია და, თუმცა ხელებს არ ავნებს, პირისთვის ძლიერ მაზარალებელია. ხსენებულ წყალ-ხსნილში რომ ხელებს დაისველებთ, მას უკან ხელები უბრალო წყლით უნდა დაიბანოთ. ოთახის ამგვარ მოწმენდას ეძახიან დეზინფექციას. ოთახს დეზინფექცია რამდენჯერმე უნდა გაუკეთდეს, ავეჯი გამოფენილი უნდა იყოს დიდი, ხნის განმავლობაში მზეზე, ოთახის კარები და ფანჯრები ღია უნდა იყოს, მეტადრე, როცა დარია. მხოლოდ ამის შემდეგ აღარ იქნება საშიშარი ოთახი, სადაც ჭლექიანი ცხოვრებდა.

ყოვლად აუცილებელია ყველგან, სადაც დიდი საზოგადოება თავს იყრის, იყოს საფურთხებელი ჭურჭლები, სავსე ნახერხით. საჭიროა ყოველ ჭლექიანს ჰქონდეს საკუთარი საფურთხებელი შუშის კოლოფი, თავ-სახურიანი, რომელიც თითქმის ყოველ აფთექაში იყიდება. კოლოფი უნდა ირეცხებოდეს ხშირად ხუთპროცენტიანის კარბოლის სიმჟავით (Acidi carbalici $5^0/_0$). ნახერხს, რომელზედაც აფურთხებენ, ნავთი უნდა გადაესხას და უნდა დაიწვას; შემდეგ ჭურჭელი უნდა გაირეცხოს ხუთ პროცენტიან კარბოლის სიმჟავით. ძლიერ კარგია ნახველის საფურთხებლად ქაღალდის კოლოფები, რომელიც ნახველიანად ერთად უნდა დაიწვებოდეს ხოლმე. ვისაც საფურთხებელი კოლოფი არა აქვს, უბრალო ქაღალდში მაინც უნდა ჩააფურთხოს ხოლმე ნახველი. მერე ნავთი გადაასხას და დასწვას ან ფეხის ალაგში ჩააგდოს.

ექიმი ვასილ წერეთელი.

(დასასრული იქნება)

---

## «კავშირი» ქართული სახალხო და საყმაწვილო წიგნების ბეჭვდისა და გავრცელება-ვაჭრობისა.

(წერილი რედაქციის მიმართ).

ყოველ-დღიური შრომა და ცხოვრება არის ბუნებრივი და მასთან უპირველესი აღმზრდელი ადამიანისა; მაგრამ დღეს იმდენად მრავალ-ფეროვანია ეს შრომა-ცხოვრება, რომ აუცილებლად საჭირო ჰხდება მისთვის ხელოვნურად მომზადება. თქმა არ უნდა, რომ აქ სკოლას საპატიო ადგილი უჭირავს: იგი დიდი ხანია ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება ადამიანისა და ხალხის განათლება-განვითარებისა და შრომა-ცხოვრებისათვის მომზადებისათვის, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ ჩვენში: ა) უმეტესი ნაწილი ხალხისა მოკლებულია სკოლურს სწავლას; ა) ვინც სწავლობს, სწავლობს მხოლოდ მცირე ხანს, ე. ი. კმაყოფილდება პირველ-დაწყებითი სწავლით; გ) უმეტეს შემთხვევაში დღევანდელი სკოლა ისე ცუდად არის მომართული, რომ სრულიად ვერ აკმაყოფილებს მრავალის ჩვენგანის მოთხოვნილებას და დ) ამიტომაც არის საჭირო, რომ თითონ უნდა ეცადოს თავისი თავის განვითარებას და ადამიანური შრომა-ცხოვრებისათვის მომზადებას. *)

ღვთის მადლით თვით ჩვენსავე ცხოვრებაში მოიპოვება ამისი საშუალება; მას ეჭირვება მხოლოდ ფრთების შესხმა, გავრცელება. ეს საშუალება გახლავს **ხეირიანი მწიგნობრობა** ანუ მდაბიურად **წიგნები**. მწიგნობრობა ჰშველის ადამიანს უფრო ადვილათ და ჩქარა მიაღწიოს თავის საუკეთესო განზრახვებსა; მწიგნობრობა ჰქმნის და განამტკიცებს ჩვენს ხასიათს; მწიგნობრობა აღორძინებს ადამიანში ღვთიურს აზრსა და ცხადათა გვაგებინებს იმას, თუ რომელი მხარეა ჩვენში, თუ სხვაში, კარგი და რომელი ცუდი; მწიგნობრობა ამდიდრებს ჩვენს სულსა ყველა იმით, რაც კი დიდი რამ გაკეთებულა და თქმულა ქვეყნად!... ასეთი დიდ-მნიშვნელოვანია ადამიანის ყოვლის სისრულით აღზრდისათვის მწიგნობრობა, მაგრამ სამწუხაროთ მეტად მცირე ადგილი უჭირავს მას ჩვენს ყოველ-დღიურს ცხოვრებაში! ჩვენ ვცხოვრობთ უგეგმოთ, უწესოთ, უიდეალოთ, ვცხოვრობთ წუთით, ვნებით და არც კი ვართ მიჩვეულნი ქართული წიგნის კითხვას იმ აზრით, რომ სრულ ვყოთ მით თვით ჩვენი ცხოვრება, არ ვცდილობთ გავიხადოთ ქართული წიგნი ჩვენი ცხოვრებისა და ბუნების უმთავრეს მოთხოვნილებად!..

წიგნის ამ გვარ კითხვასაც ეჭირება ფუფუნება, აღზრდა; ეჭირება მიჩვევა, სწავლა. დიდს, მეტად დიდს სარგებლობას მოუტანს კაცი თავის თავს, თუ ეცდება აღზარდოს თავისში ამ გვარი შეხედულება წიგნზე, ე. ი. თუ ეცდება მარად და ხარბად ეძიოს წიგნებში იდეალები თვისი სიცოცხლისა, მეცნიერული საფუძვლები თვისი ამ ქვეყნად ასე თუ ისე ცხოვრება-მოქმედებისას. მეტად ადვილი კია ყველა წიგნის მცოდნესათვის სწორედ ამ გვარ მოთხოვნილებად გაიხადოს ქართული წიგნის კითხვა? საჭიროა მხოლოდ, რომ ნახევარი საათი მაინც შესწიროს ამ საქმეს დღეში და ვინცერთს საათს შეჰსწირავს, ხომ ბრძენსაც დაუახლოვდება!..

აი ხელმძღვანელად ამ გვარ პირთა და გასავრცელებლად ქართველთა შორის ქართულის წიგნებისა, ამ წლის 25 აგვისტოდგან, ვაარსებთ ჟურნალ «მოგზაურის» რედაქციასთან «კავშირს» ქართული სახალხო და საყმაწვილო წიგნების ბეჭვდისა და გავრცელება-ვაჭრობისა. «კავშირს» აქვს მიზნად:

1) ბეჭდოს და გაავრცელოს ხალხისათვის და ყრმათათვის სასარგებლო იაფფასიანი წიგნები.

2) მოაწესრიგოს ქართული წიგნების გავრცელება-ვაჭრობის საქმე ყველგან, სადაც კი გამოჩნდება ორიოდე გულ-შემატკივარი ჩვენის მწიგნობრობისა.

3) ვისაც ჰსურს საქმე დაიჭიროს «კავშირთან» და ფაქტიური მონაწილეობა მიიღოს მის განზრახვაში. უნდა თვითეულ სოფელში და ქალაქში მოაგროვონ თავიანთ შორის ათ-ათი შაური ანუ თითო მანეთი და წარმოუდგინონ იგი «კავშირს» სანისიათ ბედ, შემომტანთა სახელგვარის აღნიშვნით და იმისა, თუ რომელს მათგანს გაეგზავნოს ხოლმე წიგნები გასავრცელებლად გასაყიდად.

4) თავის მოკავშირებას „კავშირი" დაუთმობს ყოველ თავის გამოცემაზედ $20^0/_0$ და გასაგზავნ ხარჯსაც თითონ «კავშირი» იკისრებს, ხოლო სხვის წიგნებზედ მიიღებენ თავის თავზედ მარტო გასაგზავნ ხარჯსა.

5) მოკავშირეებს გაეგზავნება დაბარებული წიგნები ნისიად არა უმეტეს მათგან ბედ შემოტანილ ფულისა იმ პირობით, რომ გაგზავნილი წიგნების ფასი დაუბრუნდეს «კავშირს» არა უგვიანეს ორის თვისა, წინააღმდეგ შემთხვევაში „კავშირი" შეაჩერებს დამრღვეველთან შეღავათიანის პირობებით წიგნების გზავნას.

6) ამავე პირობებით შეუძლიან გაიწერონ წიგნები «კავშირისგან» სხვებმაც, სანისიათ ბეის გამოუგზავნელათაც, სრული ფასის ანუ ფას-დადების მარტო ნახევარის ჯამის გამოგზავნით.

7) ყოველ თავის და სხვათა რჩეულ წიგნების შესახებ «კავშირი» დრო-გამოშვებით მიაწვდის მოკავშირეთ და სხვებს კატალოგებს, რომლებშიაც განმარტებული იქნება მოკლედ წიგნების ღირსება და აგრეთვე დაჰბეჭდავს განცხადებებს ქართულს გაზეთებში. ჩვენი წიგნების კატალოგი მსურველთ შეუძლიანთ დაიბარონ ახლავე. ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: **въ Тифлисъ, Тумановскій переулокъ, д. № 38, Ивану Павловичу Ростомашвили.**

მოთავე «კავშირისა» ივანე როსტომაშვილი.

*) იხ. ჩვენ-მიერ გამოცემული წიგნაკი „თვითნასწავლები ჩვენში და რუსეთში", ფ. 5 კაპ.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

18 აგვისტო.

**პეტერბურგი.** 17 აგვისტოს შორეულ-აღმოსავლეთიდგან მოვიდა დიდი მთავარი ბორის ვლადიმირის ძე, რომ მანჯურიის ლაშქრის სახელით მათ უდიდებულესობათ მიულოცოს მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადება.

**შანჰაი.** (რეიტ. სააგ.). ამბავი მოვიდა, მოკრივეთა მოძრაობა კვალად დაიწყოო. როდესაც ამერიკელ მისიონერებმა შეიტყეს, რომ მოკრივენი გაჩენილან, ეხლა ძაიუნებად იწოდებიან და იმათ დახოცვას აპირებენო, დეპეშის გაგზავნა განუზრახავთ ამერიკის ელჩთან პეკინში, მაგრამ ადგილობრივმა მოხელეებმა დეპეშა არ მიიღეს. ერთი გულშემატკივარი ინგლისელი დახმარებიათ და დეპეშა გაუგზავნიათ. ვიცე-კოროლ იუანშიკაიმ საჭირო განკარგულება მოახდინა მისიის დასაცველად, მაგრამ ადგილობრივი მოხელეები ყურადღებას არ აქცევენ და ამის გამო მისიონერები დარწმუნდნენ, რომ იქ აღარ ედგომინებათ და ტამინგფუ მიატოვეს. გზაზედ მფარველობის იმედი მისცეს.

**ლიაოიანი.** (რეიტერი). დილის 6 საათზე იაპონელებმა საშინელი სროლა ასტეხეს. ხალხი სულ ბანებზე ავიდა, რომ ბრძოლას უყურონ. ყუმბარები სკდება და საშინლად მოქმედობს. რუსები საოცრად იცავენ თავს. ამბობენ, ქალაქი ტანისამოს შეცვლილ ხუნხუზებით არის სავსეო. იაპონელებს უმთავრესად მდინარე თაიძიხეს გაღმა მიაქვთ იერიშიო. იძათ დიდი ზარბაზნებიცა აქვთ.

**ჩიფუ.** (რეიტერი). «ნოვი კრაი» ზარედუტნი ფორტის იერიშის შესახებ ამბობს, 12 აგვისტოს ღამემ მშვიდობიანად გაიარა. მეორე დღეს იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს ფორტს ქვის სერის აღმოსავლეთად და ციხეს. 8 საათზე გენერალ სმირნოვმა, ფორტების უფროსმა, თავის ამალით, ცხენით ჩამოუარა ფორტებს. გაიგეს, რომ ბევრი ზარბაზანი დიდ სერზე გაფუჭებულია, დაჭანცული სალდათები გენერალს „ურას" ძახილით მიეგებნენ. გენერალმა საჭმელი ნახა და ჯართან ისაუზმა. როდესაც ის თვალსაჩინო ადგილს მიდიოდა, იაპონელები პირდაპირ იმას უმიზნებდნენ.

«ნოვი კრაი» დარწმუნებით ამბობს, იაპონიის ჯარში, რომელმაც ალყა შემოარტყა პორტ-არტურს, 50,000 კაციაო. ამბობენ აგრეთვე, 4 ივლისიდგან იაპონელებს 25,000 კაცი დაუკრეს და 30,000 მოუკლესო.

«ნოვი კრაი» იუწყება, რამდენსამე ადგილს თავგანწირული ბრძოლა იყო. სამის დღის იერიშის შემდეგ, იაპონელთა ჯარმა ერთს დღეს შეისვენა. ღამის 11 საათზე დიდი ჯარი შეაგროვეს ზარედუტნი ფორტთან, რომელიც საუკეთესო სიმაგრეა რუსების მარჯვენა ფრთაზე, და იერიში მოიტანეს, მაგრამ სულ უკუ-აქციეს, ერთის რაზმის გარდა, რომელიც ფორტში შეიჭრა. მაგრამ თითქმის ყველა იაპონელი ხიშტით დახოცეს და ზოგი გაიქცა დიდის ზიანით. რუსები «ურას» ძახილით აწევებოდნენ იაპონელებს, მაგრამ ახალი ჯარი მიეშველა და კვალად იერიში მოიტანეს. რუსებმა ესიც მოიგერეს.

«ნოვი კრაი» დარწმუნებით ამბობს, იაპონელებს თავისივე აფიცრები ერეკებოდნენ წინ და უკანიდგან ესროდნენო. რუსებს გენერალი გორბატოვსკი სარდლობდა, თუმცა ექვს ღამეს უძილოდ გაეტარებინა სანგარებში.

«ნოვ. კრ.» აქებს მეზღვართა კომანდირის კაპიტან ლებედევის ვაჟკაცობას; მეზღვაურნი იცავდნენ ზარედუტნი ფორტს; კაპიტანს ცალ ხელში ხმალი ეჭირა მეორეში კი რევოლვერი და ასე ოცი იაპონელი მოჰკლა ქ დასჭრა. ნაშუადღევის ორ საათზე იაპონელებმა კვლავ ასტეხეს საშინელი სროლა ზარბაზნებისა. ამავე დროს იაპონელთა ქვეითა და ცხენოსანი რაზმები გამოჩნდენ პალიჯუანთან. სალამოს ექვს საათზე იაპონელებმა თავგანწირული იერიში მიიტანეს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის შუბლის ჯარებზედ, მაგრამ ბოლოს იძულებულნი გახდნენ დაბრუნებულიყვნენ დიდის ზარალით. ღამე კაპიტანი სტეპნევსკი მცირე რაზმით გამოვიდა ციხიდან იმ აზრით, რომ აეყარნა იაპონიის ბატარეია, რომელიც ერთ-ერთს სერზედ იდგა, მაგრამ ვერ მოახერხა.

**ჩიფუ.** (რეიტ.). პორტ-არტურიდან 15 აგვისტოს გამოსულნი ამტკიცებენ, რომ 13 აგვისტოს მართლა ყოფილა პალიჯუანთან ბრძოლა. ბრძოლა რამდენსამე დღეს ყოფილა. ორთავე მხარეს დიდი ზარალი უნახავს. იაპონელებმა შეიმაგრეს პოზიცია, საიდანაც საშინელი ზარბაზნის სროლა აუტეხეს რუსის ფორტებს ტაიპინგეტუსთან. ჩინელები ამბობენ, რომ რუსები ყოველ დღე ესვრიან იტშანისა და ანჩუშანის ფორტებიდანო; ეს იმას ჰნიშნავს, რომ იტშანთან არის კიდევ მეორე დაუნგრეველი ფორტი, ან არა და რუსებმა ისევ დაიბრუნეს იტშანი.

**ტოკიო.** (რეიტერი). ანშანჯუანთან რუსებს შესამჩნევი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ეს მოჰხდა იმის გამო, რომ დაგუშანის ჯარი, რომელიც კუროკის ლაშქრის მარცხენა ფრთედთან ერთად ჰმოქმედებს, მიაწვა და დაიჭირა ისეთი პოზიცია, საიდანაც რუსთა მარჯვენა ფრთედს რუსეთიდგან ანშანჯანთან ხიფათში ჩააგდებდა. ოქუს მოწინავე რაზმმა წაიწია იმ ადგილისაკენ, რომელიც ლიაოიანიდან 9 ვერსზეა. კუროკის ლაშქრის შუბლის ჯარმა გამოდევნა რუსები ანპინიდან და გასწია გვერდის გზით შიმინლინზე, ლიაოიანიდგან 12 მილზე და უმთავრესის გზით შანტაიშისაკენ, რომელიც $7^1/_2$ მილზეა ლიაოიანიდან.

**ვიგო.** სათარეშო გემი «დონი» წავიდა. ჰფიქრობენ, რომ მან ბრძანება მიიღო სდევნოს ინგლისის გემები, რომელთაც კონტრაბანდა მოაქვთო. აფიცერთა შორის არის ომში მოკლულის გრაფ კელლერის შვილიც. მან დაიფიცა, მამის სისხლს ავიღებ, თუ კი შემთხვევა მექმნება და როგორმე მოვხვდი შორეულ აღმოსავლეთის ჯარში, თუნდა უბრალო ჯარის კაცადაო.

**ათინა.** საბერძნეთის პრინცი გიორგი წავიდა კოპენჰაგენს; ის ნახავს სამეფო სასახლეებს პეტერბურგსა, ლონდონსა და რომში და პარიჟში—რესპუბლიკის პრეზიდენტს. იმას ვანზრახვა აქვს კრიტის საქმეთა გამო განაცხადოს, მე აღარ ვკისრულობ მთავარ კომისარობას და კრიტი საბერძნეთს უნდა შეუერთდესო. რწმუნების ვადა გაუდის პრინცს 1905 წ.

**მუკდენი.** (საავ. საკ. კორესპ.). დამით ჩრდილოეთად წავიდა მატარებელი, რომელმაც წაიყვანა 200 მეტი ტყვე-იაპონელნი, რომელნიც 17 აგვისტოს ლიაოიანთან მომხდარ ბრძოლის დროს შეიპყრეს. დღეს კიდევ ელიან მატარებელს. როგორც ამბობენ, იაპონელნი ბრძოლის დროს რამდენჯერმე ხიშტებით იბძოდნენ. ყველა იერიში უკუ-აქციეს. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა და დასტოვა 40 ზარბაზანზე მეტი. ჩვენი ზარალი ჯერ არ ვიცით.

**ტოკიო.** (ვოლფი). ოფიციალურად. 12, 13 და 14 აგვისტოს ლიაოიანთან მომხდარ ბრძოლის შესახებ იუწყებიან: 12 აგვისტოს პირველი ლაშქარი მიაწვა მტერს, რომელსაც მაგარი პოზიცია ეჭირა მიუვალ მთაზედ, 23 მილის მანძილზე ლიაოიანიდგან სამხრეთ-აღმოსავლეთად. ხშირ ბინდისას, 12 აგვისტოს, იაპონიის შუბლის ჯარმა ხიშტის შემწეობით დაიჭირა პოზიციები იმ ადგილზედ, მაგრამ რუსთა მარჯვენა და მარცხენა ფრთამ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. 13 აგვისტოს განახლდა ბრძოლა, მაგრამ რუსების წინააღმდეგობა დაუძლეველი გახდა. ხშირ ბინდისას იაპონიის მარჯვენა ფრთედმა, სასტიკის ბრძოლის შემდეგ, უკან დასწია რუსის მარჯვენა ფრთა და წაართვა 8 ზარბაზანი. 14 აგვისტოს იაპონიის რაზმებმა კვლავ დაიწყეს ბრძოლა. მზის ჩასვლის დროს რუსების პოზიციები იაპონელებმა აიღეს; რუსებმა დაჰკარგეს ორი ათასი კაცი. ამავედროს იაპონელთა სხვა ლაშქრები მიიწევდნენ ანშანჯანზე, საიდგანაც რუსებმა დაიწყეს უბრძოლველად. იაპონელებმა სდევნეს რუსები და სხვა რაზმთა შემწეობით გზა გადაუჭრეს. იაპონელებს დარჩათ რვა საბარო ზარბაზანი, სამხედრო სურსათი და მრავალი დატვირთული ურმები.

**ბერლინი.** გაზეთ «ტანის» კორესპონდენტი დეპეშით იუწყება ლიაოიანიდან 17 აგვისტოს, ღამის 1 საათსა და 21 წუთზე, ე. ი. ოთხის საათის წინ ომის დაწყებამდე, აქ არა ყოფილა იმის ნიშნები, რომ ვითომ ლიაოიანი რუსებმა უნდა დასცალონო. («ბერლინერ ტაგებლატი»).

**კიევი.** მატარებელ № 13-ში, რომელიც ოდესისკენ მიდიოდა, კიევის სადგურიდგან ორ ვერსზე, ბარგის ვაგონში აფეთქება მოხდა, მატარებელი გააჩერეს. ვაგონის ნამტვრევებში ნახეს კალათა და გაბნეული მსხვილი საფანტი. ჰფიქრობენ, კალათაში, რომელიც ბარგის დამრიგებელს ეკუთვნოდა, თოფის-წამალი იყო.

**ტიუმენი.** ნიჟნი-ნოვგოროდის საქონელი დაუბრკოლებლივ მიდის ციმბირში მდინარეებით—ტურა, ტობოლა, ისტოში და ობით; წყალი შეათანაა.

19 აგვისტო.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენ.-ად. სტესელისა, 13 აგვისტოს თარიღით, მის უდიდებულესობასთან: «თქვენის უდიდებულესობისა და დედა-დედოფალის უმოწყალესმა დეპეშამ გამოიწვია დაუსრულებელი «ურა» მტრის ცხვირ-წინ და გაუორკეცა ძალა ციხის დამცველ გმირ მეციხოვნეთ. 10 აგვისტოდგან დღევანდლამდე იაპონელთაგან ყოველდღე მოტანილი იერიში, შეწევნითა ღვთისათა, უკუ-ვაქციეთ».

**ლიაოიანი.** (რეიტერი) მეორე დღეს ბრძოლა დაიწყო გათენებისას, რუსებმა რამდენჯერმე შეუტიეს იაპონელებს, რომელნიც ლიაოიანზედ მოემართებოდნენ მხოლოდ სამხრეთით. მტერი ყუმბარებს უშენდა რუსთა პოზიციებს ნაშუადღევის 4 საათამდე, როდესაც ბრძოლა, — უმთავრესი ბრძოლა სამხრეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთის მხარეზედ, — შესწყდა იაპონელთა იმ უმთავრეს ჯარისაგან; რომელიც გვაწვებოდა ფინხუანჩენის გზით. იაპონელები თავგანწირვით, შეეცადნენ ციაოვანჩენის სერის აღებას და მისს მწვერვალს სეტყვასავით დაუშინეს ყუმბარები. თუმცა რუსები თავგამეტებით ესროდნენ, მაგრამ იაპონელებმა მაინც რამდენჯერმე სცადეს სერის დაჭერა. მტრისა და ჩვენის არტილერიების ცხარე სროლამ გასტანა საღამოს 7 საათამდე, მაგრამ ვერც ერთმა მხარემ ვერ დასძლია. რუსებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს ვენსუშანის მთაზედ, რომელიც მეტად საყურადღებო პოზიციაა ლიაოიანთან, და ამით საბოლოოდ აიძულეს მტერი, შეეწყვიტნა იერიშით მისვლა. ბრძოლის შედეგი ამტკიცებს, რომ რუსები ყოველ გვარის შემთხვევისათვის მზად არიან. რამდენადაც ბრძოლა საგრძნობელი იყო, შედარებით რუსთა დანაკლისი ძლიერ ბევრი არ არის. იაპონელთა ზარალი დიდია, განსაკუთრებით იქ, სადაც უკუ-ვაქციეთ. 17 აგვისტოს, საღამოს 7 საათზედ, იაპონელთ უკანასკნელ იერიში მოიტანეს ფინხუანჩენის გზით. სროლამ მთელს ღამეს გასტანა. 18 აგვისტოს, გათენებისას, ბრძოლა განახლდა. საღამოს რუსებმა წინ წაიწიეს რკინის გზის ლიანდაგის გაყოლებაზედ სამხრეთისაკენ. ბრძოლა ჯერ არ შეწყვეტილა. 17 აგვისტოს ზარბაზნის სროლა ისე ძლიერი არ იყო, როგორც 18 აგვისტოს. იაპონელთ სურთ შემოუარონ რუსთა ჯარის მარცხენა ფრთას. ბრძოლაში ორსავე მხრით მონაწილეობას იღებს 00,000 კაცზედ მეტი, 1,300 ზარბაზნით.

**სან-სებასტიანი.** (რეიტერი). რუსეთის სათარეშო გემმა «დონიმ» ნება მიიღო ესპანელ მოხელეთაგან, წაიღოს 200 ტონი ქვა-ნახშირი და წყალი.

**ვაშინგტონი.** (რეიტერი). სახელმწიფო დეპარტამენტმა ჩიფუში მყოფ ამერიკის უმთავრეს კონსულისაგან დეპეშა მიიღო, რომ ადგილობრივი რუსთა უმავთულო ტელეგრაფის სადგური აჰყარესო.

**ნიუ-ჩუანი.** (რეიტერი). კუროკი აფერხებს ლიაოიანთან რუსებს და სცდილობს შემოუაროს რუსთა ჯარის ფრთებს დასავლეთით. გარშემორება ნელა სწარმოებს და ჰფერხდება. აღმოსავლეთიდგან ქვეითა ჯარი შეუფერხებლად მიდის წინ. რუსებს ლიაოიანთან შეუძლიან შეაყენონ იაპონელთა წინსვლა ორსავე ფრთაზედ, რადგანაც კუროპატკინს საკმაო ჯარი ჰყავს ლიაოიანის დასაცველად.

**ჩიფუ.** (რეიტერი). პორტ-არტურიდგან მოსული კაცი ამბობს, რომ იაპონელთ უკანასკნელ იერიშის დროს დიდი

ზარილი ჰნახესო. რუსები უცქეროდნენ, იაპონელებს როგორ გაჰქონდათ ბრძოლის ველიდგან დახოცილთა გვამები, ერთად აგროვებდნენ და სწვავდნენ. საშინელი სანახაობა იყო. ყუმბარებს აღარ უშენენ, რადგანაც იაპონელნი უარჰყოფენ ციხის იერიშით აღებას და უნდათ მხოლოდ მისი ყოველის მხრით შევიწროვება. ამითი რუსებიც კმაყოფილნი არიან, რადგანაც სურსათ-სანოვაგე საკმაოდა აქვთ და შეუძლიანთ დიდხან გამაგრება.

გემი «ინდეპენდანტი», იაპონიის ჯარისათვის სურსათ-სანოვაგით დატვირთული, ნიუ-ჩუანში დააკავეს დამოენის მოხელეებმა, რომელნიც ამტკიცებენ,—ჩინეთის ნეიტრალიტეტი დაირღვევოდა, გემი რომ წასულიყო დანიშნულებისამებრო. ამ საქმის განხილვა და გადაწყვეტა მიენდო პეკინში გარტს, ხოლო მანამდე გემი ნიუ-ჩუანში დარჩება. სრული საფუძველი აქვთ იფიქრონ, რომ ამ გემით მიჰქონდა ფული—ათი მილიონი იენი—კუროკის ლაშქრისათვის ჯამაგირის დასარიგებლად. ერთი კონტრ-ნაღმოსანი ძლიერის სიჩქარით მოვიდა დალნიდგან და წაიღო ეს ფული. სანდო-კაცნი იმ აზრისანი არიან, რომ იაპონიის ნაღმოსანი ეძებდა იმ რუს აფიცერთ, რომელნიც ნავით პორტ-არტურში აპირებდნენ შეპარვას, და უნდოდა მათი შეპყრობა.

პორტ-არტურიდგან 13 აგვისტოს წამოსული ჩინელები ამბობენ, რომ ფორტი № 5 ჯერ არც რუსებს უჭირავთ და არც იაპონელებსაო. იაპონელებმა მახლობელ სერიდგან ზარბაზნები დაუშინეს თუნგაიდაშანის ფორტს და დაანგრიეს. ჩინელნი ამტკიცებენ, რომ იტშანი ისევ რუსებს უჭირავთ.

**ტოკიო.** 19 აგვისტო. (რეიტერი). ლიაოიანთან ბრძოლა გრძელდება, მაგრამ ჯერ უშედეგოა. იაპონური ოფიციალური დეპეშები იუწყება. არცერთ მეომარ მხარეს ჯერ არ გაუმარჯვნიაო.

**სიმლა.** (რეიტერი). ინგლისის მისსია ლხასსას მიატოვებს 2 სეკდემბერს.

**სტამბოლი.** (კორ. ბიურო). როგორც ბითლისის ვალი იუწყება, ანდრანიკს, სომეხთა ბელადს, წერილი მიუწერია ინგლისის კონსულისათვის მუშში და აუწყებს, რომ ახლო მომავალში დაუცხრომელ მოქმედებას დავიწყებო. ინგლისელთ არა სჯერათ, რომ ამნაირი წერილი მართლა იყოს გაგზავნილი, ვანქის ვალი იუწყება, რომ გამოჩნდა სომეხთა ახალი ჯუფთი ვანქის ვილაიეტშიო.

**პეტერბურგი.** გენ.-ლეიტ. სახაროვის დეპეშა, 18 აგვისტოს თარიღით: „18 აგვისტოს კუროკის ლაშქრის ნაწილი მდ. თაიძიხეს მარჯვენა მხარეს გადავიდა, საკანისა და კანკვანტუნის მიდამოებში, იქ სადაც მდინარე იკლაკნება. დილის 5 საათ. ჩვენმა მზვერავებმა აღმოაჩინეს, რომ ფონზედ გადავიდა დივიზია არტილერიითა და ცხენოსანთა რაზმით. იაპონელნი ორის გზით გაემართნენ.—დასავლეთისა და ანტაის მადნის გზებისაკენ. მეორე მხარეს გადასულ ჯარის ერთი ჩასაფრდა და მოეფარა დანარჩენ ნაწილებს. 18 აგვისტოს ჩვენს მოწინავე პოზიციაზედ ცხარე ბრძოლა იყო დილის 8 საათიდგან შუა ღამის 12 საათამდე, მერე კი შესწყდა. როგორც 17-ს, ისე 18 აგვისტოსაც ბრძოლა ჩვენის გამარჯვებით დამთავრდა, ვინაიდგან ჩვენ უკლებლივ შევინარჩუნეთ ყველა მოწინავე პოზიციები. განსაკუთრებით მედგრად იბრძოდა გენ.-მაიორის კონდრატოვიჩის დივიზია. იაპონელები სეტყვასავით გვაყრიდნენ არტილერიის ყუმბარებს. თუმცა მტერი მთელს დღეს შირაპნელებს კოხივით გვაყრიდა, მაგრამ მაინც ჩვენი ჯარი მედგრად იცავდა თავის „პოზიციებს. იაპონელთა არტილერიამ ყუმბარები დაგვიშინა და რამდენჯერმე იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზედ. რამდენიმე ჩვენი საუკეთესო სიმაგრეები იაპონელებმა დაიჭირეს თავგანწირულის ბრძოლის შემდეგ, მაგრამ ბოლოს ჩვენ ხიშტები ვიხმარეთ, დიდი ზარალი მივეცით იაპონელთ და უკანვე დავიბრუნეთ ყველა სიმაგრეები. მტერმა ბევრი მოკლული დასტოვა. ხიშტებით შებმის შემდეგ ჩვენმა ჯარმა მოასწრო რამდენისამე სამგლო ორმოების ამოთხრა მოწინავე პოზიციების წინ. რამდენსამე ადგილას ეს ორმოები პირამდე აივსო იაპონელთა დახოცილებით. იაპონელთა ზარალი დიდი უნდა იყოს, მაგრამ ჩვენი ზარალიც კი, თუმცა ჯერ რაოდენობაში დაახლოვებითაც არ არის მოყვანილი, ძლიერ დიდია. დაიჭრა გენერალ-მაიორი მროზოვსკი; გაიკენწლა გენერალ-ლეიტენანტი შტაკელბერგი, მაგრამ ჯარი არ მიუტოვებია. ჩვენ ხელთ ვიგდეთ საკმაო რიცხვი იაპონელთა ზარბაზნებისა».

გენ.-ლეიტ. სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს, 19 აგვისტოს თარიღით: «19 აგვისტოს ღამემ მშვიდად ჩაიარა. დილის 6 საათამდე არც ჩვენა და არც იაპონელებს სროლა არ აგვიტეხია. როგორც ცნობები მივიღე, კუროკი ნავ-ხიდებსა სდებს იმ ადგილზედ, სადაც ჯარი უნდა ვადაიყვანოს მდინარის მეორე ნაპირას».

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**
17 აგვისტოს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,97½ |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,35 |
| ლონდონში ჩეკები | 94,75 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,50 |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 92¼ ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 89 ნ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 386½ წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 298½ წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 255 ნ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |

---

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა ამ წლის 18 აპრილიდან.
(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.)

### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს**: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

**ბათუმს**: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.) 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

**ერევანსა და ყარსს**: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

**ბორჯომს**: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან**: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს 50 წ.); საქონ. სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

**ბათუმიდან**: 1) წრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.), საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.): სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

**ერევან-ყარსიდან**: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45წ.).

**ბორჯომიდან**: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს 9 წ. (10 ს. 7 წ.).

### ბ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ**: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 საღამოს 1 ს. 10 წ. (2 ს. 8 წ.)

### გ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.).


# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი
ს. ბ. თოფურიას
**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო შ ი,**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

---

ქუთაისის ქალაქის წყლისა და ელექტრონულ ტრამვაის გამყვან საზოგადოების
ს ა მ თ ო ი ნ ჟ ე ნ ე რ
**ა. დ. მიხაილოვის და ამხ.**
**გ ა მ გ ე ო ბ ა**

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 22 აგვისტოსათვის 1904 წლისა, დილის 10 საათზედ, ქუთაისში, გამგეობის სადგომში, ტფილისის ქუჩაზედ, ანანოვის სახლში, დანიშნულია

**საჩქარო საზოგადო კრება**

ამხანაგობის პაის პატრონებისა.

განსახილველი საგნები: 1) ბალანსი 1 აგვისტოსათვის 1904; 2) გამგეობის მოხსენება ამხანაგობის საქმეთა მდგომარეობის შესახებ და 3) გამგეობისავე მოხსენება იმის შესახებ, რომ ან შემდეგისთვის მოეწყოს საქმეთა მდგომარეობა, ანუ გადაეცეს სხვას. (3—6—3).




**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**
**„ოდობრინი“ მ. კ. ლებედევის“**

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს-ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საავთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

---

**თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის გამგეობა** ამით, აცხადებს, რომ 1-ლ, მე-2 და მე-3 კლასებში, უადგილობისა გამო, მოწაფენი არ მიიღებიან. მოწაფეთა განმეორებითი გამოცდა მოხდება 25 და 26 აგვისტოს. მოსამზადებელ კლასებში მისაღები ეგზამენები დანიშნულია 27 და 28 აგვისტოსათვის. სახელმწიფო სტიპენდიის ერთი ვაკანსია განთავისუფლდა და მოწაფეს ამ ვაკანსიაზედ დახურულ კენჭის ყრით მიიღებენ, რომელიც დანიშნულია 5 სეკდემბერს. (2—უ—).

---

„GRAND PRIX“
PARIS 1900.

Т—во Высшей
парфюмеріи
А. Ралле и Кº

Одекалонъ
„Кристаль“

---

**ბუხჰალტერი-სპეციალისტი**
(წელიწადი მეორე)

ამზადებს წელს ბევრად გადიდებულ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, საზოგადო სავაჭროსა და ბანკოსასა, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ გამოანგარიშებასა, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენციასა, ვაჭრობის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებს.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის)

სწავლა ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე უქმეების გარდა. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელის კურსისა 60 მან.

სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1904 წ.

**ადრესი:** ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს**, მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე საღამოს 4-დამ 9 საათამდის, კვირაუქმეობით-კი დილის 9-დან 1 საათამდის და საღამოს 4-დან 9 საათამდის.

ვამზადებ ზემო აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 8 დან 9-საათამდის შეეძლებათ სწავლა და ამასთანავე თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ საზოგადო არითმეტიკაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. ფასი მორიგებით და შეღავათიანად. სწავლის გათავების შემდეგ ატტესტატი მიეცემათ.

(14—266—7). ალ. გ. საათაშვილი.

---

მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი
**ს ტ ა მ ბ ა**
ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებულიყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწდომია.

---

ს.-პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს კ ო მ პ ა ნ ი ა
**„ნ ა დ ე ჟ დ ა“**

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

**დაარსებულია 1847 წელს**

| | |
|---|---|
| **მირითადი თანხა** | 1.650.000 მან. |
| **სათადარიგო თანხ** | 2.664.808 მან. |

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, აირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულებს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან- სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350 ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6—48)

---

**ვ**ისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და დამშვიდებული იყვეთ **იყიდეთ**, მარტო 4 მან. 90 კაპ., საიუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი „**ენდოლიანსი**“, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. „**ენდოლიანსი**“ ანიშნებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხეება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი „**ენდოლიანსი**“, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრედვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

„**ენდოლიანსი**“ საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დაღებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: **Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.**

გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ა.
(5—6—)